საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია

ეთიკის კომისია

გადაწყვეტილება

დისციპლინური დევნის აღძვრაზე უარის თქმის თაობაზე

მეორე დისციპლინური კოლეგიის შემადგენლობა:

თორნიკე ბაქრაძე - კოლეგიის თავმჯდომარე

მარიკა არევაძე - კოლეგიის წევრი

ცისმარი ონიანი - კოლეგიის წევრი

საჩივრის ავტორი: ქ. ყ.

საჩივრის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 20.01.2020

საჩივრის რეგისტრაციის №007/20

საჩივარი შემოტანილია: ადვოკატ მ. დ.-ის მიმართ /სიითი № /

საჩივრის მოთხოვნა: ადვოკატ მ. დ.-ის მიმართ „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულებით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის დაკისრება

I აღწერილობითი ნაწილი

1. **საჩივრის ავტორის პოზიცია:**

1.1 2020 წლის 20 იანვარს საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიას საჩივრით მომართა ქ. ყ.-მა და მოითხოვა ადვოკატ მ. დ.-ისათვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება.

1.2 საჩივრის ავტორის განმარტებით, 2019 წლის 31 იანვრის განჩინების საფუძველზე მან, როგორც შპს „ს. კ. ე.“-ის დირექტორმა შპს ,,ლ. ---“-თან გააფორმა შეთანხმების აქტი და გადასცა

რამდენიმე ბინა მშენებარე კორპუსში გარკვეული ვალდებულებებით, თუმცა შპს ,,ლ. ---“-ს აღნიშნული ვალდებულებები დღემდე არ შეუსრულებია.

1.3 საჩივრის ავტორის განმარტებით, მ. დ.-ს, რომელიც არის შპს ,,ლ. ---“-ის ადვოკატი, სურს იმაზე მეტი ბინის მიღება, ვიდრე ეს სასამართლოს განჩინებით არის განსაზღვრული. ადვოკატი შანტაჟის, მუქარისა და ზეწოლის საშუალებით ცდილობს მიიღოს კიდევ 4 ბინა. ადვოკატმა მ. დ.-მ აღნიშნულის შესახებ აცნობა საჩივრის ავტორის ოჯახის წევრებს, მენაშენეებს და მათაც, ვისთანაც საჩივრის ავტორს აქვს გარკვეული ვალდებულებები. გარდა ამისა, ადვოკატი მ. დ. მოლაპარაკებებს აწარმოებს ბინების მომავალ მესაკუთრეებთან, რათა ისინი ქ. ყ.-ის წინააღმდეგ განაწყოს და აშინებს, რომ თუ არ მოითხოვენ მესამე პირებად დარეგისტრირებას, ბინებს დაკარგავენ.

1.4 საჩივრის ავტორის განმარტებით, ადვოკატი მ. დ. გამოდის ადვოკატის საქმიანობიდან და მოქმედებს პირადი ინტერესებიდან გამომდინარე. მან საჩივრის ავტორის ძიძა მოატყუა, რომ თითქოს მას შეეძლო ხელშეკრულების გაფორმება და შპს „ს. კ. ე.“-ის სახელზე არსებული ბინის დარეგისტრირება, თუმცა არ გამოუვიდა, რადგან საჯარო რეესტრმა კანონდარღვევა დააფიქსირა და მისი მოთხოვნა არ იქნა გათვალისწინებული.

1.5 საჩივრის ავტორის განმარტებით, შპს „ლ. ---“-ს მოვალემ დაადო ყადაღა, ადვოკატი მ. დ. კი ცდილობს საჩივრის ავტორი დააშანტაჟოს, რომ თუ ქ. ყ. არ აანაზღაურებს შპს ,,ლ. ---“-ის ყადაღის თანხას, იგი თავის მხრივ ყადაღას დაადებს განჩინების საფუძველზე მისაღებ თანხას, რომელიც შპს „ს. კ. ე.“-ს ეკუთვნის.

2. ადვოკატის პოზიცია:

2.1 ადვოკატმა მ. დ.-მ 2020 წლის 29 იანვარს ეთიკის კომისიაში წარმოადგინა ახსნა-განმარტება ქ. ყ.-ის საჩივართან დაკავშირებით, ხოლო 2020 წლის 29 ივლისს გამოცხადდა საპროცესო კოლეგიის სხდომაზე და განმარტა, რომ იგი 2017 წლის 12 იანვრიდან წარმოადგენს შპს ,,ლ. ---“-ის ადვოკატს. მისი კლიენტის პროცესუალურ მოწინააღმდეგე მხარეს წარმოადგენს შპს „ს. კ. ე.“, რომლის დირექტორი არის ქ. ყ..

2.2 ადვოკატის განმარტებით, შპს ,,ლ. ---“-ს და შპს ,,ს. კ. ე.“-ს შორის დაიდო ნარდობის ხელშეკრულება სამშენებლო სამუშაოების განხორციელების მიზნით. შპს ,,ლ. ---“ კეთილსინდისიერად ასრულებდა ხელშეკრულების პირობებს. ქ. ყ.-ს გარკვეული თანხა უნდა გადაეხადა ხელშეკრულების გაფორმებისთანავე, ხოლო შემდეგ თანხა უნდა ეხადა ეტაპობრივად შესრულებული სამუშაოების პროპორციულად. თუმცა, იგი აღარ იხდიდა თანხას და დაგროვილმა დავალიანებამ, შესრულებული სამუშაოების ღირებულების გათვალისწინებით, შეადგინა 500.000 აშშ დოლარზე მეტი.

2.3 ადვოკატის განმარტებით, მოგვიანებით გაირკვა, რომ ქ. ყ.-ს პრობლემები ჰქონდა თავის საფინანსო კომპანიაში „ე. კ.-ში“, ჰყავდა დაზარალებული ფიზიკური პირები და მათ თანხის სანაცვლოდ „ს. კ. ე.“-ის ბინებით აკმაყოფილებდა. საბოლოოდ საჩივრის ავტორი დააკავეს, ვინაიდან მან არაერთ ადამიანს მიაყენა ვალდებულების შეუსრულებლობით ზიანი.

2.4 ადვოკატის განმარტებით, დავალიანების დაფარვის მიზნით მან როგორც შპს „ლ. ---“-ს ადვოკატმა სარჩელით მიმართა სასამართლოს, გამოიყენა მოთხოვნის უზრუნველყოფის ღონისძიება და ქ. ყ.-ის სახელზე რიცხულ სხვადასხვა ქონებას დაედო ყადაღა.

2.5 საქმის სასამართლოში წარმოების პერიოდში კლიენტის სახელით ის ცდილობდა ქ. ყ.-თან მოლაპარაკებას, თუმცა ქ. ყ. მორიგებაზე უარს ამბობდა. მან პოზიცია შეცვალა მას შემდეგ, რაც დააკავეს, თავისი ადვოკატის მეშვეობით დაუკავშირდა შპს ,,ლ. ---“-ს და დათანხმდა მორიგებაზე.

2.6 მხარეთა შეთანხმებით, შპს ,,ლ. ---“-ს საკუთრებაში უნდა გადაცემოდა ყველა ის ბინა, რომელიც ირიცხებოდა შპს „ს. კ. ე.“-ის სახელზე, სანაცვლოდ კი შპს ,,ლ. ---“ ქ. ყ.-ის დედის, ე. ყ.-ის ბინას იპოთეკისაგან გაათავისუფლებდა. ასევე, შპს ,,ლ. ---“-ს თავის მხრივ საკუთრებაში გადაცემულ ბინებზე არსებული ვალდებულებები უნდა შეესრულებინა. მორიგების თაობაზე შეთანხმებისთვის საჭირო იყო ყველა მომავალი მესაკუთრის თანხმობა, თუმცა აღნიშნულ პროცესს არ ესწრებოდა 3 მომავალი მესაკუთრეთაგან ერთ-ერთი. დანარჩენმა ორმა კი ურთიერთობის გაგრძელება სამშენებლო კომპანიასთან არჩია, შესაბამისად სამშენებლო კომპანიის საკუთრებაში კვლავ დარჩა ოთხი ბინა.

2.7 მორიგების აქტის დამტკიცების შემდეგ ადვოკატს დაუკავშირდნენ მომავალი მესაკუთრეები და დახმარება თხოვეს. შესაბამისად, შპს ,,ლ. ---“ დაუკავშირდა ქ. ყ.-ს და თხოვა დარჩენილი ბინების გადაფორმება, თუმცა მიიღო კატეგორიული უარი. სწორედ ამის გამო ადვოკატმა მ. დ.-მ ისევ სცადა ქ. ყ.-თან დაკავშირება. ამ მიზნით ჯერ დაუკავშირდა მის ადვოკატს, რომელმაც თავი აარიდა საუბარს, ხოლო შემდეგ მის დას და სთხოვა საკითხის მოგვარება. შემდეგ ადვოკატმა მიწერა წერილი თავად ქ. ყ.-ს, რომელიც იმ დროისთვის უკვე იმყოფებოდა სასჯელაღსრულების დაწესებულებაში, სადაც თხოვდა, განეცხადებინა თანხმობა ბინების დათმობაზე. თუმცა, ქ. ყ.-მა კვლავ უარი განაცხადა. ამის შემდეგ, ადვოკატი მ. დ. ქ. ყ.-ის ადვოკატს თხოვდა, რომ იქნებ დალაპარაკებოდა მის კლიენტს და დაეთანხმებინა მორიგების აქტის პირობების შესრულებაზე, თუმცა ადვოკატმა მას ურჩია, რომ თავად შესულიყო ციხეში და უშუალოდ დალაპარაკებოდა ქ. ყ.-ს.

2.8 ქ. ყ.-ის თხოვნისა და განცხადების საფუძველზე, მ. დ.-მ ის მოინახულა სასჯელაღსრულების დაწესებულებაში თავისი კლიენტის ინტერესიდან გამომდინარე, მორიგების პირობებზე საუბრის მიზნით. შეხვედრის დროს, ქ. ყ.-მა მოითხოვა, რომ შპს ,,ლ. ---“-ის დირექტორს პირადად ეღიარებინა ქ. ყ.-ის დედის, ე. ყ.-ის სახელზე რეგისტრირებულ ბინაზე არსებული იპოთეკის თანხა ნოტარიუსით დამოწმებული ხელწერილით და მხოლოდ ამის შემდეგ გადასცემდა შპს ,,ლ. ---“-ს დარჩენილ ბინებს, თუმცა მიუხედავად იმისა, რომ შპს ,,ლ. ---“-ის დირექტორი აღნიშნულ პირობას დათანხმდა და პირადად იკისრა იპოთეკის ვალდებულება, ქ. ყ.-მა კვლავ შეცვალა პირობა, უარი განაცხადა ბინების გადაცემაზე და მოითხოვა დირექტორს დაუყოვნებლივ მოეხსნა იპოთეკა დედამისის სახელზე რეგისტრირებულ ბინაზე. გარდა იპოთეკისა, აღნიშნულ ბინას ედო ყადაღა, ამიტომ ადვოკატმა სცადა ქ. ყ.-ისთვის აეხსნა, რომ ამ ფაქტისა და სამომავლო რისკების გათვალისწინებით, ამ ეტაპზე

ბინისთვის იპოთეკის მოხსნა შეუძლებელი იყო. ამის შემდეგ ადვოკატ მ. დ.-ს ქ. ყ.-თან რაიმე სახის ურთიერთობა აღარ ჰქონია.

2.9 ადვოკატის განმარტებით, სამშენებლო კომპანიის შეუსრულებელი ვალდებულებების გამო ყადაღა დაედო შპს ,,ლ. ---"-ის უძრავ ქონებას და დირექტორის ანგარიშებს. რის შემდეგაც ადვოკატი აქტიურად ცდილობდა საჩივრის ავტორთან კომუნიკაციას თუმცა უშედეგოდ. იგი დაუკავშირდა საჩივრის ავტორის ახლობლებსაც, თუმცა არა მუქარის, არამედ ქ. ყ.-ის მიერ ნაკისრი ვალდებულების შესრულების მიზნით.

2.10 ადვოკატის განმარტებით, იგი მართლაც დაუკავშირდა საჩივრის ავტორის ძიძას, რომელთანაც შეთანხმდა, რომ მოჩვენებით დადებული თვალთმაქცური გარიგების შედეგად მიღებული ორი ბინიდან ერთს გადასცემდა შპს ,,ლ. ---"-ს. თუმცა ვინაიდან ქ. ყ.-მა ყადაღადადებული ბინები გადასცა თავის ძიძას, საჯარო რეესტრმა დაადგინა ხარვეზიდა ბინა ვერ დარეგისტრირდა.

2.11 ადვოკატ მ. დ.-ის განმარტებით, მისი ინტერესია, რომ კვალიფიციური მომსახურება გაუწიოს თავის კლიენტს, წარმატებით დაასრულოს დავები და დავების დასრულების შემდეგ მიიღოს კუთვნილი ჰონორარი. ადვოკატმა განმარტა, რომ ქ. ყ.-თან საუბრისას აქცენტები გააკეთა იმ რისკებზე რაც ქ. ყ.-ის ქონებას ეხებოდა, თუმცა ეს იყო რეალური შეფასება და არა რაიმე სახის მუქარა.

II სამოტივაციო ნაწილი:

3. ფორმალური წინაპირობების შემოწმება:

3.1 ადვოკატი მ. დ. არის საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის მოქმედი წევრი /სიითი №/ სპეციალიზაცია - სამოქალაქო სამართალი.

3.2 ქ. ყ.-მა ეთიკის კომისიას საჩივრით მომართა 2020 წლის 20 იანვარს.

3.3 სადავო ქმედება განხორციელდა 2017-2019 წლებში. შესაბამისად, დაცულია ეთიკის კომისიისთვის მომართვის კანონით განსაზღვრული ხანდაზმულობის 5 წლიანი ვადა (ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონი, მუხლი 32.2)

4. შემაჯამებელი დასკვნა

ეთიკის კომისიის გადაწყვეტილებით, ადვოკატ მ. დ.-ის მიმართ არ უნდა აღიძრას დისციპლინური დევნა, რადგან მოცემულ შემთხვევაში არ არსებობს ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონითა (მუხლი 32) და დებულებით (მუხლი 30.1) გათვალისწინებული დისციპლინური დევნის აღძვრის საფუძველი.

5. სამართლებრივი შეფასება:

5.1 საჩივრის ავტორის პრეტენზია ადვოკატ მ. დ.-ის მიმართ გამოიხატა შემდეგში: ადვოკატი მისი და მისი ახლობლების მიმართ ახორციელებს შანტაჟს და მუქარას; კოლეგიამ ასევე შეაფასა

ადვოკატ მ. დ.-ის მიერ კლიენტის პროცესუალური მოწინააღმდეგის სახელზე ორდერის გამოწერის და სასჯელაღსრულების დაწესებულებაში შეხვედრის ფაქტი.

5.2 საპროცესო კოლეგიამ იმსჯელა ადვოკატ მ. დ.-ის მიერ შემდეგი მუხლების შესაძლო დარღვევის თაობაზე:

5.2.1 ,,ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონის მე-6 მუხლის პირველი ნაწილი: ,,ადვოკატს უფლება აქვს კლიენტის ინტერესების დასაცავად გამოიყენოს ყველა საშუალება, რომელიც არ არის აკრძალული კანონმდებლობით და პროფესიული ეთიკის ნორმებით".

5.2.2 ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-5 მუხლი: „ადვოკატმა ყოველთვის უნდა იმოქმედოს კლიენტის ინტერესებიდან გამომდინარე და დააყენოს ისინი პირადი და სხვა პირების ინტერესებზე მაღლა. თუმცა კლიენტის ინტერესების დასაცავად ადვოკატის მოქმედებები უნდა შეესაბამებოდეს კანონმდებლობას და ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსს."

5.3 ადვოკატს, როგორც მართლმსაჯულების სისტემის ნაწილს, კლიენტის ინტერესის დაცვის პროცესში მოეთხოვება კანონიერების პრინციპის დაცვა, რაც გულისხმობს ადვოკატის ვალდებულებას, კლიენტის ინტერესის დაცვისას, გამოიყენოს მხოლოდ კანონით დაშვებული საშუალებები.

5.4 კომისიამ შეაფასა მომჩივანის პრეტენზია ადვოკატ მ. დ.-ის მიერ მის მიმართ გამოყენებული შანტაჟის და მუქარის ნაწილში. მხარეთა პოზიციებისა და საქმის მასალების შესწავლის შედეგად გამოიკვეთა, რომ ადვოკატმა მ. დ.-მ ქ. ყ. გააფრთხილა სხვა სახის სამართლებრივი მოქმედებების განხორციელების თაობაზე, იმ შემთხვევაში თუ ქ. ყ. არ შეასრულებდა მორიგების აქტით გათვალისწინებულ და ნაკისრ ვალდებულებებს. ადვოკატის ქმედება წარმოადგენს მხარისთვის მოსალოდნელი სამართლებრივი რისკების განმარტებას. ადვოკატმა მოწინააღმდეგე მხარეს ინფორმაცია მიაწოდა კლიენტის ინტერესის დასაცავად გამოსაყენებელი კანონიერი საშუალებების თაობაზე, რისი უფლებაც მას აქვს. კომისიის შეფასებით, ადვოკატი მ. დ. კლიენტის ინტერესის დასაცავად იყენებდა კანონიერ საშუალებებს.

5.5 „ადვოკატი ორდერის გამოწერის მეშვეობით შეხვდა პენიტენციურ დაწესებულებაში მისი დაცვის ქვეშ არ მყოფ პირს - იგი მომჩივანის ინტერესებს არ იცავდა, მოქმედებდა კანონისა და კლიენტის ინტერესების შესაბამისად. საჩივრის ავტორს საჩივარში მითითებული გარემოებების დამადასტურებელი რაიმე მტკიცებულება ადვოკატის მხრიდან მასზე განხორციელებული რაიმე ფორმით ზეწოლის, ზემოქმედების ან სხვა უკანონო ქმედების შესახებ ან ისეთი გარემოების შესახებ, რომელმაც მომჩივანის ინტერესები დააზიანა არ წარმოუდგენია და საჩივრის ავტორს არ მიუთითებია ისეთი მტკიცებულებების მოპოვების შესაძლებლობის შესახებ, რომელზეც თავად არ მიუწვდება ხელი და შესაძლებელი იქნებოდა მათი მოპოვება ეთიკის კომისიის ჩართულობით" (ეთიკის კომისიის 2014 წლის 02 სექტემბრის გადაწყვეტილება, დისციპლინურ საქმე №064/14).

5.6 „იმ შემთხვევაში, თუ ინიციატორი ადვოკატი დარწმუნდება, რომ მოწინააღმდეგე მხარეს აღარ ჰყავს ადვოკატი, მან შეიძლება გადასცეს ინფორმაცია მოწინააღმდეგე მხარეს უშუალოდ. ამასთან ინფორმაციის გადაცემისას მოწინააღმდეგე მხარეს არ უნდა გაუწიოს საადვოკატო კონსულტაცია ინფორმაციასთან დაკავშირებით ან არ შექმნას ასეთი კონსულტაციის გაწევის აღქმა, ასევე ურჩიოს, რომ მოწინააღმდეგე მხარემ გადაწყვეტილების მიღებამდე მიიღოს რჩევა დამოუკიდებელი ადვოკატისგან“ (ეთიკის კომისიის 2018 წლის 09 მარტის №004/18 რეკომენდაცია).

5.7 ადვოკატ მ. დ.-ის მიერ ქ. ყ.-ის სახელზე ორდერის გამოწერის მიზანი იყო მსჯავრდებულ ქ. ყ.-თან შეხვედრა №--- პენიტენციურ დაწესებულებაში შპს ,,ლ. ---“-თან დავის შესაძლო მორიგებით დამთავრებასთან დაკავშირებით. ადვოკატის მიერ წარმოდგენილი მასალებით დგინდება, რომ ქ. ყ.-მა თავად გაუკეთა მ. დ.-ს შესაბამისი მოთხოვნა და დართო მასთან შესვლის ნება. იქედან გამომდინარე, რომ ქ. ყ. იმყოფებოდა პენიტენციურ დაწესებულებაში, ხოლო ადვოკატ მ. დ.-ს, მისი კლიენტის ინტერესებიდან გამომდინარე, სჭირდებოდა მასთან კომუნიკაცია, ერთადერთი გზა ქ. ყ.-თან, როგორც პატიმართან საუბრისა, იყო ადვოკატის ციხეში შესვლა. ციხეში შესვლა კი შესაძლებელი იყო მხოლოდ ადვოკატის მხრიდან შესაბამისი ორდერის გამოწერით. სწორედ ამ გარემოებებმა განაპირობა ადვოკატის მიერ პროცესუალური მოწინააღმდეგე მხარის სახელზე ორდერის გამოწერა. საქმეში წარმოდგენილი მასალებით, არ დასტურდება ის გარემოება, რომ ადვოკატმა მ. დ.-მ საადვოკატო კონსულტაცია გაუწია ქ. ყ.-ს ან რაიმე ფორმით განახორციელა ზემოქმედება მასზე. აღსანიშნავია, რომ სასჯელაღსრულების დაწესებულებაში შესვლამდე ადვოკატი ქ. ყ.-თან კომუნიკაციას შეეცადა მისი ადვოკატის მეშვეობით, თუმცა უშედეგოდ. აღნიშნული გარემოებების ერთობლიობით, კომისიას მიაჩნია, რომ მოცემულ დისციპლინურ საქმეში არ დგინდება ადვოკატ მ. დ.-ის მიერ ეთიკური ვალდებულებების სავარაუდო დარღვევა და მის მიმართ არ უნდა აღიძრას დისციპლინური დევნა.

III სარეზოლუციო ნაწილი

საპროცესო კოლეგიამ იხელმძღვანელა ,,ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულების 30-ე მუხლის პირველი პუნქტით და მე-40 მუხლის პირველი პუნქტით და გადაწყვიტა:

1. დისციპლინურ №007/20 საქმეზე ადვოკატ მ. დ.-ის მიმართ /სიითი №/ არ აღიძრას დისციპლინური დევნა.
2. გადაწყვეტილების ასლი ჩაბარდეთ მხარეებს.
3. საპროცესო კოლეგიის გადაწყვეტილება არ საჩივრდება.

გადაწყვეტილებას თან ერთვის ეთიკის კომისიის მეორე კოლეგიის წევრის - თორნიკე ბაქრაძის განსხვავებული აზრი.

კოლეგიის თავმჯდომარე: /თორნიკე ბაქრაძე/

კოლეგიის წევრი: /მარიკა არევაძე/

კოლეგიის წევრი: /ცისმარი ონიანი/

II დისციპლინური კოლეგიის თავმჯდომარის - თორნიკე ბაქრაძის

განსხვავებული აზრი

ეთიკის კომისიის გადაწყვეტილებაზე, საქმე №007/20

დისციპლინური დევნის აღძვრაზე უარის თქმის თაობაზე

გამოვხატავ პატივისცემას ჩემი კოლეგების - ეთიკის კომისიის მეორე საპროცესო კოლეგიის წევრების მიმართ, რომლებმაც მიიღეს გადაწყვეტილება ადვოკატ მ. დ.-ის მიმართ დისციპლინური დევნის აღძვრაზე უარის თქმის შესახებ (საქმე №007/20) და წარმოგიდგენთ ნაწილობრივ განსხვავებულ აზრს მოცემული საქმის სამართლებრივ შეფასებასა და შედეგთან დაკავშირებით.

1. ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის პირველი ნაწილი პირდაპირ ეხება მოცემულ შემთხვევას და მიგვითითებს ადვოკატის ვალდებულებაზე, რომ კლიენტის ინტერესების დასაცავად გამოიყენოს მხოლოდ და მხოლოდ ის საშუალებები, რომელიც არ არის აკრძალული არც კანონმდებლობით და არც პროფესიული ეთიკის ნორმებით (იხ. ადვოკატთა შესახებ კანონი, მუხლი 6.1.).

2. ანალოგიურ მოთხოვნას აწესებს პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-5 მუხლი, რომელიც უთითებს, რომ ადვოკატის მოქმედებები, რომელიც მიმართულია კლიენტის ინტერესების დასაცავად უნდა შეესაბამებოდეს კანონმდებლობას და პროფესიული ეთიკის ნორმებს (იხ. ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი, მუხლი 5).

3. კოლეგიის წევრების მიერ უდავოდ იქნა მიჩნეული ის, რომ ადვოკატმა მ. დ.-მ ორდერი გამოწერა ქ. ყ.-ის სახელზე, მაშინ როდესაც ქ. ყ. მისი კლიენტი არ ყოფილა. აღნიშნული თავისთავად ადასტურებს ორდერის „ფორმალურად“ გამოწერის ფაქტს.

4. მნიშვნელოვანია გათვალისწინებული იქნეს ორდერის სამართლებრივი ბუნება და ის, რომ ორდერი წარმოადგენს კლიენტის მიერ ადვოკატისათვის მინიჭებულ უფლებამოსილების დამადასტურებელ დოკუმენტს. ხოლო, ე. წ. „ფორმალური ორდერის“ გამოწერა, ატარებს უკანონო ხასიათს. ადვოკატ მ. დ.-ის მიერ ქ. ყ.-ის მიერ ორდერის გამოწერა ემსახურებოდა მათი შეხვედრის უზრუნველყოფას და არ ატარებდა სამართლებრივი დაცვის მიზანს. შესაბამისად, მსგავსი ქმედება პირდაპირ ეწინააღმდეგება ორდერის სამართლებრივ ბუნებას და კანონიერების პრინციპს.

5. ეთიკის კომისიის გადაწყვეტილება, საქმე №124/12 - “ადვოკატის მიერ ორდერის გამოწერა უნდა განხორციელდეს ორდერში მითითებული პირის დასაცავად. ეთიკის კომისია განმარტავს, რომ ადვოკატის მიერ სხვა მიზნით გამოწერილი ორდერი იქნება ფიქტიური ხასიათის, რაც არ შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ ორდერის სამართლებრივ ბუნებას და იწვევს ადვოკატის მიერ ორდერის საფუძველზე წარმოშობილი ვალდებულებების დარღვევას სამართლებრივი ურთიერთობის დაწყებისთანავე” (საქმე №124/12, პარ. 6.4).

6. “ადვოკატის მიერ მსჯავრდებულის სახელზე ორდერის გამოწერა გულისხმობს ადვოკატსა და მსჯავრდებულ პირს შორის ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობის წარმოშობას, რაც

ადვოკატს აკისრებს ვალდებულებას, იმოქმედოს ,,ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონით, ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსითა და შესაბამისი საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი წესით მსჯავრდებული პირის (კლიენტის) ინტერესების დასაცავად“ (საქმე №124/12, პარ. 6.6).

7. "ეთიკის კომისია მიიჩნევს, რომ იმ შემთხვევაში, თუ ადვოკატის მიერ ორდერის გამოწერა არ ხდება უპირველესად და ექსკლუზიურად იმ პირის ინტერესების დაცვის მიზნით, ვინც არის ორდერში მითითებული, ადვოკატმა უარი უნდა თქვას ორდერის გამოწერასა და დაცვის განხორციელებაზე". (საქმე №124/12, პარ. 6.8).

8. ეთიკის კომისიის გადაწყვეტილება, საქმე №047/11 - “ორდერი წარმოადგენს კლიენტის მიერ ადვოკატისთვის მინიჭებული უფლებამოსილების დამოწმებას, რაც ავალდებულებს ადვოკატს განახორციელოს ქმედებები კლიენტის სახელით და მისი ინტერესების დასაცავად” (საქმე №047/11, პარ. 7.4).

9. ,,საქართველოს კანონმდებლობა არ იცნობს ადვოკატის მიერ ორდერის გაფორმებას სხვა მიზნით (სხვა კლიენტის ინტერესების დაცვის მიზნით), გარდა ორდერში მითითებული პირის ინტერესების დაცვისა“ (საქმე №044/10).

10. ეთიკის კომისიის გადაწყვეტილება, საქმე №048/15 - “ადვოკატი ორდერს გამოწერს ორდერის საფუძველზე განსაზღვრული პირის ინტერესების დასაცავად და არა სხვა პირის, თუნდაც კლიენტის დავალების შესასრულებლად და მისი ინტერესების დაცვის მიზნით.”

11. მოცემულ შემთხვევაში, ადვოკატ მ. დ.-ის მიერ გამოწერილი ორდერი მიზნად ისახავდა არა მსჯავრდებულ ქ. ყ.-ის ინტერესების დაცვას (ვისი დასაცავადაც იქნა ორდერი გამოწერილი), არამედ ადვოკატ მ. დ.-ის სხვა კლიენტის, შპს ,,ლ. ---“-ის ინტერსების დაცვას. ადვოკატმა მ. დ.-მ მოცემულ შემთხვევაში იმოქმედა შპს ,,ლ. ---“-ის ინტერესების გათვალისწინებით და მსჯავრდებულ ქ. ყ.-ს შეხვდა მხოლოდ იმ მიზნით, რომ მასთან მიეღწია შეთანხმება სამოქალაქო დავაზე. აღნიშნული დადასტურებული იქნა ადვოკატ მ. დ.-ის მიერ საპროცესო კოლეგიის 2020 წლის 29 ივლისის სხდომაზე.

12. ადვოკატმა მ. დ.-მ საპროცესო კოლეგიის 2020 წლის 29 ივლისის სხდომაზე ასევე განაცხადა, რომ მას მოცემულ მომენტში არ გააჩნდა სხვა რაიმე მექანიზმი ქ. ყ.-თან კომუნიკაციისა და მისი განმარტებით ორდერის გამოწერა იყო ერთადერთი ფორმა ქ. ყ.-თან შესახვედრად.

13. ვფიქრობ, ადვოკატ მ. დ.-ის ქმედებაში იკვეთება ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის პირველი ნაწილის და ადვოკატთა ეთიკის მე-5 მუხლის დარღვევა, რის გამოც მოცემულ საქმეზე განსხვავებული სამართლებრივი შედეგი უნდა დამდგარიყო.

14. შესაბამისად, ვერ დავეთანხმები კოლეგიის წევრების შემაჯამებელ დასკვანას, რომ არ არსებობს ადვოკატ მ. დ.-ის მიმართ დისციპლინური დევნის აღძვრის საფუძველი. ვფიქრობ, რომ მოცემულ საქმეზე უნდა აღძრულიყო დისციპლინური დევნა ადვოკატ მ. დ.-ის მიმართ და საქმე არსებითად განსახილველად უნდა გადასცემოდა ეთიკის კომისიის განხილვის კოლეგიას.

თორნიკე ბაქრაძე

კოლეგიის თავმჯდომარე